

ც ი ს კ ა რ ი

1862

ა ზ რ ი ლ ი.

წელიწადი შექმნეს.

წოდება თხზულებათა:

- I. —სიტყვა თქმული კვ. ვარიაკეს. გაბრიელ ეპისკოპოსისა.
- II. —შეშლია. (მოთხრობა.) გრ. რეულოვისა.
- III. —ლექსები სსჭა და სსჭა მწერლებისა.
- IV. —მოწმობა ქეთევანდედოფლისა. თეიმურაზ ბატონიშვილისა.
- V. —სსჭა და სსჭა ანბანი. (იხილეთ მეორე გვერდზედ.)

ც ფ ი ლ ი ს ს.

გერესელიძის ტიპოგრაფიაში.

სიტყვა

კვ-სა კვრიაკესა, თქმული ქუთაისის სო-
ბოროსა შინა გაბრიელ ეპისკოპოსისაგან.

ტქუა მას უფალმან მისმან: კეთილ მონათ-
სახიერო და სარწმუნოო, მცირესა ზედა სარწ-
მუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ,
შეკედ სინაწულსა უფლისა შენისასა.

ესრეთ უთხრო უფალმან მონასა მას,
რომელმან მიიღო რა ორი მხოლოდ ტა-
ლანტი ანუ ნიჭი კეთილგონიერად ინძარს
ივინი, განამრავლა და ნაცვლად ორისა
წარუდგინა ოთხი უფალსა თჳსსა. ამათვე

სიტუებათა გავიგონებთ ჩუწნცა ეოველნი, მხანო ქრისტიანენო, უფლისაგან მეორედ მოსვლასა მისსა, უკეთუ გონიერათ მოვი-
სმართ და განვაძრავლებთ ტალანტთა ანუ ნიჭთა, რომელთა ღმერთი მოსცემს თუთო-
ეულსა კაცსა, ანუ თუთ შობიღვანვე, ანუ განგრძობასა შინა ცხოვრებისა მისისა. მრავალთა მათ ტალანტთაგან რომელითა ღმერთი შეამკობს კაცსა ჩუწნ დღეს ვიფი-
ქროთ, მხოლოდ თრთა უმაღლესთა და უძრვასესთა ნიჭთათჳს, რომელნი სეცად-
მდე აღამალებენ ბუნებასა კაცისასა, ესე იგი სჯიდიისსა ანუ ნამუსისათჳს, და მე-
ორედ სარწმუნოებისა ანუ საღმრთო სჯუ-
ლისათჳს.

აჴა თრნი იგი საღმრთოთანი ტალანტნი ანუ ქანქანანი, რომელნი შიანიჭა ეოველსა კაცსა უფალმან ღმერთმან, სოლო კაცმან უნდა ასარგებლოს და ერთი თრად წა-
რუდგინოს ღმერთსა.

ვსთქვით ზირჭლად სჯიდიისათჳს. რა
 არს სჯიდიისი? სჯიდიისი არს იგი უხი-
 ლავი მსაჯული, მჯდომარე გულსა შინა
 უოვლისა კაცისასა, რომელი ანუ აქებს და
 მოუწონს მას, რომელთაჲ საქმეთა, მოქ-
 მედებათა და ეოფაქცევათა, ანუ ამაგებს
 რომელთაჲ სსჯათა ეოფაქცევათაჳს. ესრეთ
 განსაზღურებენ სჯიდიისსა, ხოლო, უკეთუ
 გსურს, უცხადესად გაიგო და ცხოვლად
 წარმოიდგინო რა არს სჯიდიისი, შეკიმ-
 ლია გაიხსენო რასა გრძნობდი შენ გულსა
 შინა შენსა, როდესაც ღმერთი შეგეწია და
 ჰქენი რომელიმე კეთილი საქმე, ანუ ილო-
 ცე გულმოდგინედ და ცრემლითა, ანუ ნუ-
 გეში ეცო და გააბედნიერე ვინმე, ანუ სსჯა
 რომელიმე კეთილი საქმე აღასრულე. ამათ
 ეოველთა შემთსჭვათა შინა არა გრძნობ-
 დიას შენ რომელსაჲ გამოუთქმელსა სი-
 ტკბობასა? არ გახარებდაა შენა? ეს ში-
 ნაგანი სინარული და სიტკბობა იყო

მოქმედება შენისა სუნიდისისა, რომელი მო-
 გაწონებდა შენ შენთა საქმეთა. ხოლო ოდეს
 მტერმან გაცთუნა შენ, და მთავარდი რომ-
 ძელსამე ბოროტ მოქმედებასა, რასა გრძ-
 ნობდი გულსა შინა შენსა? სირცხულსა და
 აღრეულობასა. მაშინ შენ გრცხუნოდა
 ყოვლისა კაცისა; ზირი შენი ხშირად გა-
 წითლდებოდა; შენ იმალებოდი ყოვლისა
 კაცისაგან, და ვიდრემდის არ მოინანე, არ
 გქონდა მოსვენება. ეს იყო საქმე სუნი-
 დისისა შენისა, რომელი გტანჯვდა შენ
 და სდევნიდა სულსა შენსა მონანებისადმი.
 ცხად არს თუ რადსათვის დაწერვა ღმერთ-
 მან, ბუნებასა შინა კაცისა დიდი ტალანტი
 ესე. მისთვის, რათა იყოს იგი მოძღურად
 და კელმძღვანელად კეთილისა მოქმედე-
 ბისადმი; ხოლო აღჯრ მსხმელად ბორო-
 ტის მოქმედთა.

ახლა უნდა ვიფიქროთ, როგორ უნდა
 მოიხმაროს და განამრავლოს კაცმან ეს

დიდი და დიდად საჭირო ტალანტი. ჰირ-
ველად ეოველმა კაცმა უნდა ეცადოს რომ
სჯილისი მისი იუოს მტკიცე და მასჯლი,
უნდა ესრეთ ვსთქუათ გალესოს იგი. ნიჭ-
სა ამას, ვითარცა სსუათა ნიჭთა კაცისა-
თა, შჭირს გასრდა და გამტკიცება. სჯი-
ლისი სულისა შინა კაცისასა, არს ვითარ-
ცა ცეცხლი, რომელი ათბობს და ანათებს
გულსა; თუმცა შენ არ შეგიძლია სრულიად
გააქრო ცეცხლი იგი, გარნა შეგიძლია
ესოდენ დაამცირო იგი, რომელ აღარც
სიტუოება ექმნეს და აღარც სინათლე; შე-
გიძლიანცა ესოდენ აღანთო იგი, რომელ
ჭქონდეს მას დიდი სინათლე და სიტუო-
ება და ესრეთ კაცი, რომელი ეოველთს
ლესავს თჯსა სჯილისსა, ეოველთა შინა
საქმეთა, გამოიკითხავს მისგან რჩევასა,
არაფერს არ იხამს წინააღმდეგ სჯილისისა
თჯისსა. ეოველთჯს გრძნობს მისგან ანუ
ქებასა და კმაყოფილებასა, ანუ მოძაგებასა

და საეჭვდურსა; ესე ვითარმან კაცმან განამრავლა ტალანტი ესე და აქუს სასოება მიელო ოდესმე უფლისაგან სარება: «კეთილმონათ სახიერო და სარწმუნოო.... გარნა ვინც დაახმო კარი სჯნიდისისა თჯისსა, ესოდენ დაამცირა ღმთაებრივი ესე ცეცხლი, რომელ დროსა ბოროტის მოქმედებისასა აღარ ჰქენჯნის მას სჯნიდისი მისი, აღარ უძლის და ვერ აეენებს მას ცოდვისაგან; იგი ემსგავსა უბადრუკსა მას მონასსა, რომელმან დამალა მიწასა შინა, ერთი ღმთისგან მიღებული ტალანტი, და ამისთვისმა მისგან საეჭვდური: ბოროტო მონათ და მედგარო... ჯერ იყო შენგან დაგებად ვერცხლი ჩემი სავაჭროსა და მივიღე ჩემი იგი აღნადგინებითურთ.» ეს უმეტესად უნდა ახსოვდესთ მათ, რომელთა არ მიუღიათ სწავლა და განათლება, ესე იგი დაბალსა ერსა. ვინც წიგნი იცის მას აქუს ორი ტალანტი: სჯნიდისსა მისსა მიესმარება

განათლება და ჭსწაჭლა, ხოლო უკეთუ
ვისმეს წიგნი არ უსწავლია მან უნდა ისა-
რგებლოს მხოლოდ სჯიდიისითა თვისითა.
უკეთუ უსწავლელმა კაცმა სჯიდიისიც თვისი
დააბნელა, აღარ დარჩება მას არცა ერთი
საშუალი, რომლითა შეეძლოს. მას იცნოს
და განარჩიოს კეთილი და ბოროტი, იცნოს
სასუფეველი ღუთისა და შესძლოს შესკლა
მას შინა.

ახლა ვსთქვათ მეორისა მის უმაღლე-
სისა ტალანტისათვის, რომელი მოგუცა
ჩუცნ ღმერთმან, ესე იგი, სარწმუნოებისა
და სახარებისათვის. სჯიდიისი ანუ ნამუსი
აღარ იყო საკმაო დაცემულისა კაცისათვის,
რათა ეცნა მას ღმერთი და ჯეროვნად
ემსახურა მისთვის. ამას გვძეკიცებენ ჩუცნ
კერზთ-მსახურნი, რომელთა ესოდენ დაუბ-
ნელდა სჯიდიისი, რომელ ნაცვლად ჭეშმა-
რიტისა ღუთისა, ჰატივის-სცემდენ მრავალთა
ცრუთა ღმერთთა, ამისთვის თუთ ღმერთმა

გამოგვცხადა ჩუენ ჰეშმარიტი სარწმუნოება, და მოგუცა დიდი დაუფასებელი ნიჭი სახარებისა, არაოდეს არ უნდა დავივიწყოთ, ძმაო ქრისტიანენო, რომ ჩუენ მოგვაბარა ღმერთმან დიდი ეს დაუფასებელი ტალანტი. გახსოვდეს ძმაო, რომ შენ ქრისტიანე ხარ და ამასთანავე მართლმადიდებელი ქრისტიანე, ეს არის შენი სიქადული, ეს არის განმასხვავებელი შენი სსუათა უცხოთა კაცთაგან. ჰკითხავდე თავსა შენსა, როგორ ხმარობ შენ დაუფასებელსა ამას ტალანტსა; განამრავლება შენ იგი, გამოიღოა მან ნაყოფი გულსა შინა შენსა, გაგწმინდა და გაგანათლავა შენ სჯულმან შენმან. ანუ აქამომდე სუფევს მას შინა, ცოძი ცოდვისა და ბოროტებისა?

ძმანო ჩემნო საუქარელნო, დიდ არს ტალანტი რომელი მოგვცა ჩუენ ღმერთმან, დიდ არის წოდება და ვალი ჩუენი. ჩუენ ვართ ქრისტიანენი: გვახსოვდეს, რომ მას-

ლობლად ჩუწნდა არიან მრავალნი უცხო-
 ნი ტომნი, რომელნი არ მიიღებენ ჰსჯუ-
 ლსა ქრისტესსა; ჩუწნ ვალი გვაქეს რომ
 ცხოვრებითა ჩუწნითა, სიუქარულითა, ერ-
 თობითა, კეთილითა ეოფაქცევითა ცხადთ
 ვაჩუწნოთ მათ თუ ვითარნი დიდი და უმ-
 ჯობესი ტალანტი მოგვცა ჩუწნ ღმერთმან
 თუ ვითარნი ღუთაებრივი საუნჯე არს
 ქრისტიანობა. ჩუწნ უწოდებთ თავისა ჩუწნსა
 მართლ-მადიდებელად, ესე აგი ვაღჯარებთ,
 რომელ ეკკლესია ჩუწნი მიიღებს ნამდვ-
 ლად თუთ მას სწავლასა და წესდებულე-
 ბასა, რომელი გარდამოგვცეს თუთ მოცი-
 ქულთა: დაუმტკიცოთ კეთილითა ჩუწნითა
 ცხოვრებითა ჭეშმარიტება ჩუწნის ეკკლე-
 სიისა წინააღმდეგთა მისთა. ამინ.

შეშლილი.

მ ო თ ხ რ ბ ა .

საზოგადოდ საქართველო და საკუთრად ტფილისი ბეგრით აზიან დაკლებულნი განსჭმნებულის ქელდმან-შლის თავადის ვორონცოვისკან. 1845 წელსა გადმოვიდა ვორონცოვი საქართველოში ნამესტნიკად და შინგე შეუდგა ის განსილგვსა მისს საჭიროებისსა, უპოვს საქართველო ძირს დამსობილი მრავლის წელულებინსკან. მხოლოდ იმის შემძლებელს მარჯუტნას შექმლო იმ ჟამად საქართველოს აღდგინება და იმის დიდგაცურვას სიუხვემ არა დაზოგარა ამ წელულების განსაკურნებლად. მან დაწინაურს ვაჭრობა, გლეხთ გაუხინა მუშაკობა, ობოლთ და ოხერთ შეაფარებინა თავი სასწავლებლებში, კეთილშობილთ დანახვს კეთილშობილური გზა კელმწიფის სამსახურისს; აგრეთვე არა დაიშურარა საზოგადოს სიამოვნებისათჳს; ამის გამო მან დააფუძნა ქართული თეატრი. კეთილი საქმე თავადის ვორონცოვისს არ დაჩნა

უნაყოფოდ: მრავალთა მისის ჩქვნიებით იწაღმარეთეს და ქმრებს წარმატება: ევროპული ცხოვრება შემოვიდა ჩქვნიში; ახალი აზრები დაგებებდნენ; ერთის სიტყვით გიიღუპა ხალხმა ღრმა ძილიდამი; სრულად უსწავლენი თათქმის განკითარდნენ; უცებ მოულოდნელად დაიბადნენ წარჩინებულნი კომიკური მწერალნი, რომელთა შორის ბრწყინავს თ. გომრგი ერისთავი, ეგრეთქვით აკტიორები, რომელთაც განაკრებს ევროპიულნი

ამ აკტიორებისა და აკტრისების შორის იყუხენ იმ ღრმს რჩნი სუჭარულნი საზოგადოებისა: აკტორი გიგო და აკტრისა კეკე. ესენი ყოველჯერ ერთად თამაშობდნენ მიჯნურობის რთლსა; ხოლო შემდგომ ამ თამაშობიდან იგინი გადავიდნენ ნამდვილ დამიჯნურებაშიდინ: რჩნივე იყვნენ ახალ განდანი, რჩნივე ღამასნი და აღგონებულის გულისანი და მინდომეს მათ ურთიერთის შეკავშირება ქორწინებით.

კეკესა ქეჭანდა დობილი და სუფითადი მეგობარნი ანა, აკტრისა იმავე თეატრისა.

— ქედიმ ბედის დაცინქვას! ამბობდა თავისთვის ანა: მე, რომელიც მისათა ვანდ ამოკინიქნო თუალები კეკესა, რომელიც დღე და ღამ სულ იმის თეატრში ვიყავ, რომ მომესპო გიგოს სიუჭარული მისდამი, მე მიბარებს კეკე და მეითხამს რჩევასა— რა თანაკრავი შემოვიკრას და რა კაბა ჩავიცო გურგან ქვქვშაო!... მე მთხვარს ინი განქვეე კეკელისაში, მივაუვანო სავურთხეველთან. მერე თათქმის საქორწინოს სწოლის კართან... მე უნდა გამხადოს იმან თავის მდადე!!... რა, იღბადლო, ჩემო შავო იღბადლო! სუ

თუ კვვე სსსცილოდ მიგდებს? ნუ თუ ამითი უნდა მ-
 ჩქნნოს მან, რადენ უშიშარი ვარ ესლა მე იმისთვის?—
 თუ ამისა ჭფიქრობს კვვე, მაშ იმან არ იცის, რა შეუ-
 ძლიან მოიქმედოს ქალმა, რომელსაც გულისდამ ჭკლეკენ
 საყურელს!... იმან არ იცის, რა არის დედაკაცისათვის
 შირქული სიუჭარული! იმან არ იცის, რომ მე შინთია
 გულში შემკული ცუცხლი გიგოსადმი, რომ მე იმათის
 ბედნიერების დასარღუჭვად მზათა ვარ ყოველს მოქმე-
 დებაზედ, რაცკი ადამიანს კელიდგან გამოუყა, რომ მე
 აღარ დამაბრკოლებს არც სუნდისი, არც სირცხული, არც
 შებრალება... მაგრამ, რა ჩემო უბედურო თავო?! ესლა
 რაღა გამომივა კელიდგან? თუ შემოდო რამ, აქამდინ
 უნდა მომხმარებინა ყოველი ღონის ძიება, რომ კვვე
 და გიგო ერთმანერთისაგან დამეშორებინა, და ძირიანად
 ამომეფუნა გიგოს გულიდგან სიუჭარული კვვესი. ესლა,
 რომელსაც უკუჩ ისინი ჭსწერენ მზითვის სასა და სა-
 გვრჯნოს ტანისამოსის მზადებაში არიან, ესლა მე რა-
 ღას გაგაწყობ?... ესლა მხოლოდ მე უნდა დავიმარხო
 გულში ჩემი შურის ძიება: ჩემი დამარცხება, ჩემი სიწ-
 ცხული.... ესლა უნდა გულში ტანჯვთ და შირსედ ღი-
 შილით მივეკებო იმათ და მიუღოცო ბედნიერება!... რა!
 თუ რაოდ დღე აღრე მტოდნოდა იმათი მომზადება
 საჭურის წეროდ, მე ამ დღემდინ არ მოვასწეებინებდი
 იმათ. აქამდინ გიგოს შევაძულებდი კვვესა.— მე მოვიწ-
 ვეგდი კვვეს ჩემს ხახლში, დავმალადი იქ ერთს ვმწულს
 კაცსა, მეკე მიხეყს მოვიგონებდი კარსედ გამოსვლისას
 და დაუკუტი კარებსა. შემდგომ გიგოს მივსტემდი სხ-

ლის გასაღებსა, ენახა თავისი საყუარელი, სხუა კაცთან ჩახუტული... კეკეს ფიცი აღარ გაუვიდოდა. მაშინ გიგო აუტილებლივ ჩემი იქნებოდა... მაგრამ გიგო ძვირი კაცია; იქნება ფულის გულისათვის ირთამდეს კეკესა? ამბობენ, მითომ ბიძას უანდერძებია კეკესათვის ხუთასი თუმანი. მეც რომ მიქონოდა ამდენი ფული, იქნება მე ვყოფილავივ კეკეს ალაგსა. მაგრამ მე ნახევარიც არა მაქვს... ოჲ, სიმდიდრე, სიმდიდრე! შენ დაგდევს უკან ყოველი ქუჩუნიერი ბედნიერება! შენ გიჭირამს კელში სიყვარულიცა და სიმძულვარცა. ეს არის საკრწქლი, წათა მდევნის ესრეთის დატინვით ჩემი უწყალო ბედი? წათ ამომარჩია ჩემმა ბოროტმა ბედმა კეკეს მოსართავად?—ნუ თუ ჩემს სატანჯავად მე უნდა დაუმაგრო იმას გულში ეს აღმასის ქინძის თავი, მე ჩამოვაფარო ეს შიბბადე შირზედ?... ჯერ არ დაესრულებინა ანას ეს ფიქრები, როგორც მოესმა ფეხის ხმა კეკესი.

—ანაჯან, საყუარელო ანაჯან! რა ბედნიერი ვარ! ჩემი გიგო ესლავ მოვა. ნახე, რომელი საათია?—ჩუქს ჩქარა მოგვიხდება ეკელესიაში წასვლა.

—გიცი.

—ოჲ, საყუარელო ანაჯან! განაგრძელა კეკემ აღტატებით: რა სასიამოვნო დღე არის, როდესაც მიიღებ გვარს იმ კაცისას, რომელსაც შენს გულს აძლევ! რა სახით მიუჭარს მე ჩემი გიგო? გათქმული სახელი, სიღამაზე, ნიჭი, კეთილშობილება—ყოველი შეერთებული არის იმასში... არა, ჩემო ანა?

—მართალია, ძლივ წარმოჭსთქო ანამ.

— და რა დიდგულისათა ხარ, განაგრძელებს უწყალოდ კეპეში, რა ანა იცოდნა, რომ ყოველი იმისი სიტუაცია ჰგონიანდა ანას გულსა, რა დიდგულისათა, რომ კაცი, რომელსაც ნატრობენ ყოველნი ჩუქნი თეატრის ქაღნი, ჩემი ქმარი უნდა იყოს. უნდა მარტო მე შეკუთვნოდე; იმისი ხელი უნდა იყოს ჩემს გულთან, ის უნდა იყოს ჩემი ვიფარეკელი, ჩამი საუნჯე, ჩემი მშუქნიერება, ჩემი მტრუჭლი... გესმის, ანა, ჩემი ამზარტანება, ჩემი ბედნიერება?

— მესმის. ცივად უბახუხა ანამ და ჩაყვანა ადმონიჭა.

— მოკა დღე. როდესაც შენც, ჩემო საყურადლო ანა, გამოქსცდი ამ ხეტარებას, რომელსაც ანა შეედარება რა ქუჭყანაზედ.—

— მართლად ამბობ?

— განა ეჭვ ანის რამა აქა? განა ბედნიერება მარტო ჩემთვის ანის გაჩენილი?

— ბედნიერება იმათთვის ანის სსამოვნო, ვისაც ბეჭი უბედურება გამოუვლია, უთხრა ანამ: შენ შენს სიტუაციაში რამდენიმე დღე მწუხარებისა არ გინახავს, წარმატება აგიძლეს თანა, როდესაც შემოხუჭლი თეატრში ხალხი და ყოველი დიდგატობა კელებს იმტუჩევენ ბეჭის ტაშის გუჩითა, როდესაც შენ ენას ადრავ ხოლმე... მაშასადამე შენთვის ბედნიერება არ ანის ახალი ანბავი... თუქმის გახეთებიცა, რომელნიც ესრედ იშუათად გამოიმეტებენ რასმეს კარგსა სხუსათვის, განაგრძელებენ ხოლმე აღტაცებით შენს ქებასა...

— ეგ მართლად, მაგრამ... იცნ რა გითხრა, ანა?

ყოველი აღწერილი შენგან ნეტაკება რომ ერთად შეკრიბო, ეგენი მაინც არა იქმნებათა იმ ბედნიერებასთან, რომელსაც მე ვეძებ, რომლისაც იმედი მაქვს... მაგრამ ეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს შენთან საღამომდინ.

— ეგ რაღა ახალი ბედნიერება?

— იცი რა, ანაკ, ბედნიერება, რომელსაც ქალი ნარნარის გულისთ რაცნამს უმაღლესს ყოველისა ქრისტეანაზედ, მდგომარეობს ამაში, რომელსაც იგი დაწმუნებული არის რომ იმ კაცსაც ნამდვილად უყუარს მხოლოდ ის ქალი, მარტო, უშემწეოდ რისამე... გესმის?

— მესმის. მაგაზედ რაღა გამოცდა და შემოწმება გინდა. ყველამ ვიცით, რომ გიგოს უყვარხარ მხოლოდ შენ და არა შენი ვითოევი.

— მაინც უნდა კიდევ გამოვსცადო და დაწმუნებით შევიტყო.

რაღაც საიდუმლო აზრმა განიზბინა ახას თვითების სიბნელეში და რაღაც სხივმა იმედისამ განივლია იმის გულში. —

— ჭკვანი ქალი ბედნიერებას არ გამოჰსცადის, უთხრა ანამ, ჭსჩანს შენ არასოდეს უბედურება სიყვარულში არ გამოგივლია და გინდა, რომ ახრდილიც არ დანიახო.

— მართალია, უთხრა კეკემ, ჯერ მე უბედურებისა არა ვიცინო. ეგ კარგად მომაგონე. ამ სიხარულში მყოფისა მე უეჭუჭლად უნდა მიმუბამნა ძუჭლებურ ჩუჭულებისათვის.

— ძუჭლ ხალხს განა რა ჩუჭულება ჭკონია? ჭკითხა ანამ.

—აი რა სტოდნიათ, როდესაც ბედნიერება ვისიმე უოფილას განგრძობებითი: მაშინ შიშისაგან, რომ ეს ბედნიერება უეცრად არ შესწდეს ავი სულისაგან, ანუ თვალი არა ჰქონას, ის გადააგდებდა ხოლმე წყალში ანუ სღვაში რქროს ბეჭედსა.— მეც მინდა ისე მოვიქცე.

—შენ ბედნიერება ჭკუიდგანა გშლის.—

კეკე მას არ გაჰსცა, და მსწრაფლად განკრდა ბაღკონსედ, რომელიც გარდაკიდებული იყო შტეჭარსედ.— იგი გარდაკვიდა ბაღკონის ნაპირს წელადმდე და თითიდან წაიძრო რქროს ბეჭედი და წყალში გარდააგდო.— ამ დროს, შემოვიდა ოთახში გიგო.

კეკე! შეჭყრას მან შეშინებულმა: რასა შტეები მანდა?

—რასაცა ხედამთ: მე მეტად ბედნიერი ვარ და რქროს ბეჭედი შეეჭსწირე წელის დედაფალას ჩუჭკულებისამებრ ძუჭლთა.—

—რა ტუტუტობას! ისე გადაშეკბულ იყავ ბაღკონიდგან, რომ მე გული გამიხეთქე... ნუ თუ ერწმუნები მაგისთანა ზღაპრებს?

—ძომიტევე, ჩემო გიგო; ბედნიერება ჭყოფს ადამიანსა ამაოდ მოწმუნედ. მე ასე ბედნიერი ვარ, რომ მინდოდდა...

—შენ უოკელთვს ბედნიერი იქმნები ჩემთან.—

ამ თქმასედ ანას მოაწვა გულსედ სისხლი; იგი იტანჯებოდა გამოუთქმელად და რაღაც მიზეზი მოიგონა კარსედ გამოსვლისათვს.—

—გმადლობ, ჩემო ანავ, უთხრა ჩემათ კეკემ: რომ მარტო მიტევებ გიგოსთან. ეხლა კარგი დრო არის, რომ

გამოუხატადო, წინააღმდეგად წყნარ გუბნებოდი; მე შევიტყობ
გარდაწვეტილ სიტყვებს ჩემის ბედისას. დღეს საღა-
მობზედ ყოველს განცობებ შენცა.

— კიდევ წამდენიმე საათი, უთხრა გიგამ თავის
მშტნისთვის საცოლოსა, რა მიახლოვდა მას: კიდევ წამ-
დენიმე საათი—და ჩუქნი ტკბილი სიყუარული განდიქ-
ცევს სამოთხედ.

— ოჰ, გიგამ! თუ იტოვებ რა ტახტზედ გიგამის ჩემ-
თვის კვ წამდენიმე საათი?

— რათა? რა გაქვს სატანჯუნი და საფიქრებელი?

— გამოგონე, გიგამ? ჩუქობს ეხლა ყოველივე იტოვებ.
ჩუქნის განხილვისა და ჩუქულებისა მებრ...

— დეკორა დიდებულა! შენ მგონია, განხილვისა
მიზნებზედ ღაზანაკისა...

— ჩუქნის განხილვისა და ჩუქულებისა მებრ, ცოლმა
უნდა მიუტანოს თავის ქმარსა თვისი თავისუფლების
თვისისა.

— მეტე?

— მეტე ესა, რამ ჩემი მზითვენი... რამეღვი
შევიტყვა...

— რა დროს ღაზანაკისა მზითვენი. განა არ ვიც
წინა გაქვს! შენმა ბიძამ რესტორმმა განიღებდა ხუთას
თუმანი. ეს ხომ ნათქვამი კიდევ ყოფილა, კიდევ არა
ყველამაც იცინა და კიდევ მოჭსწყინდათ მაგასზედ ღაზანაკისა.
ეს მეც ვიცი და შენცა.

— კიდევ კარგად უნდა მოვიღაზანაკოთ ჩემს მზითვე-
ნიზედ, დაწინაურებით სიტყვა კვამ.

—თუ ღმერთი გწამს, კაკე!...

—უფრო მამიკდე, გოგო...

—აბა...

—გუუბნები მონისმინე.

—აბა შეტეი, ან შინდა უკვიგონო რამ.—

—შე შინდა გითხრა....

—ჭარგი, ქსთქ.

—ხუთასი თუმანი, ნანადურობი ჩემის ბიძისგან...

—ქო. რა აბის?

—საკურჭელი კაცი იყო ბიძა ჩემი რუსტომი....

—გაცი; ქსწორეთ გიყვი იყო, და ვინ ან იცის ეგა!

—მართალია... რუსტომამ დაუტოვა ჩემთვის ხუთასი

თუმანი ფული, მაგრამ ერთის პირობით...

—რა პირობით! ნუ მტანჯამ, ქსთქ.

ჩემს საცაჯის ბიძის ანდრეშში დაუწოდა, რომ მე

ვეღარ მივიღებ იმ ფულსა, თუ რომ...

—თუ რომ რა?...

—თუ რომ აღესმე ქმარს შევიტყვი.

—რას ანობ!

—ესრეთ, რომ, განაგრძელებ კაკემ შრილფარის ხმით:

ესრეთ რომ ამ წამს მე მაქვს ის ხუთასი თუმანი; მა-

გრამ ერთის საათის შემდეგ, რა კაკლესიიდან გამავალ

შენს ცოლად, მე აღარ ვეჩნება... ახლა ეს მაწუხებს

მე, საცოდავი კაკე ეგრეთვე ვშუქნივრად გეჩუქნება

თუაღში, თუ აბი? ეგრეთვე ღიწნი იქნება შენის მუ-

ღლეობის ტარებისა თუ აბა?

—უფრო ვშუქნივრი, უფრო ღიწნი იქნება! შეჭევრა

გიგომა. გეუბნები უფრო უკეთესი და უფრო ღირსი, და ჩემი კვეთი ისევ ჩემ კვეთად დარჩება.

—გზადლობ შენ, დმეტო! გადადობ, რომ მომეცი კგოდენი ღონე აღსასრულებლად ამა გამოცდილები! ჭსოქჩა კვეთი თავისთვის.

—ჩემო კვეთიწიფე! ჩემო საუჭარსლო გიგო! უთხრა კვეთი: მე ვიყავ ჩუჭულებრივი გამოუსვლელი ქალი, შენ შეგიუჭარდი მე, და ყოველთა ქალთა შერთ ჩემი ბედნიერება; მე ვიყავი საწყალი, უთქმელი და გაუბედავი აკტრისი; შენ შეგიუჭარდი, და შევესუვლად გუღში ამგონოცრცხლი და შევიქმენ გამჩენილი... ტფილისში აღარავინ არის, რომ აღტაცებით არ წარმოხსოვდეს ჩემს სახელს... მაგრამ შენი ცოლად შეყოფა არის მხოლოდ ნამდვილი ბედნიერება ჩემი. რაც ესაა შენა ჭსოქჩა, მე კგ საუგუნეთა მხდის შენს მოკვლად... ესაა საუგუნედ შენი მონა ვარ... მომისმინე კიდე, გიგოჯან! თუ რომ დღესვე მოგატყუო შენა—მაშინ ნუ მამკლამ... არა, ეს იქმნება მეტად დიდი მოწყალება ჩემთვის... მაშინ შემიკარ კვეთი, გადამზარსე თმა და წამიყვასე იმ სასარკელს სახლში, ხადაც მივდიოდით ხოლმე გიყუბის რილის სასწავლებლად ყოველთჯ, როდესაც უნდა წარმოგვედგინა ხოლმე თეატრში უძლილი ტანოკ და ვანტანგი... დიალ, დიალ! თუ რომ ან ფიქრად ჩავიდო მე შენი დალატი, წამათრე ნავთლუხში, გიყუბის სახლში. გეფიცები, მე არ გიწინაადმეგო, და როდესაც დამსხმენ ეინულის წყალს თავზედა და ტანზედა, მე ვიტყვ: «ახია შენზედა, კგრე უნდა!» მაგრამ არა, ჩემო გიგო, არაოდეს ფიქრად

ან მომივს შენი მოტყუება: ყოველთვის შეუჭარბება... ოჲ, რა დიდ სულოვანი ხარ, რომ ჩემსედა ჯუხარს იწერ უზითოვად... უფრო ცუდი შენთვის: ჩემი ტანისამოსის სუიდეგ და სხუა და სხუა ახალ მოდის წამოსასხმელები შესუსტებენ შენს ჯიბეს; შენი მშუტნიერი ბრლიანტის ბეჭდები გადმოკლენ ჩემს თითებზედ.

გიგომ ვერ მოითმინა ეს ადგუნებული გამოთქმა სიყუარულით! მან გარდასჯა გვეს გისერში გელი და დაუწყო გოცნა.

ანა, ანა! რათ მინდა ბრლიანტები! ჭსოქუა გვეს: ეს გოცნა, ეს დაუბოლოებული გოცნა—ესენი ანთან უძრფესესნი ბრლიანტნი, რომელითაც ქალი მშუტნიდება.

როდესაც ეს ადგუნობილი სხივი დაჭსტხტა გვეს ღამაზ შუბლზედა, მაშინ გიგომ უთხრა:

—უძრფესესო სულა! ეგ ვეკვას კარგია, მაგრამ ნება მომეცა წავიდე რამდენსამე მინუტს შინა მოგამზადო ყოველი საქრწინოდ.

წადი, უთხრა გვეს, და ესეც გქონდეს გუნებაში, გიგოჯან, რომ ყოველი ჩემი სიტყვასწის წაში შენის სიამოვნებისათვის შექმნება შემოწინული; ყოველთვის შენს თვალში და წარბში ვიქმნები მათეულებელი, და გვედები რომ ჩემის სიყუარულით დაგავიწყო სულელები ანდერძი ბედი ჩემისა.—ესლაგი წადი, და დაახლოვე წაში ჩუტნის ბედნიერებისა.—

ნეტა ანის ვინმე ქუტყანასედა კაცო გიგოზედ უკეთესი? ჭსოქუა გვეს, როდესაც თვისის ხმა ბედნიერის საქმრისი ადარ მოისმოდა ვიბეზედა.—ნეტა ანის სადმე

მეორე გული მაგასედ კეთილშობილი? ოჰ! რა კარგად ვსჯენ, რომ ჩემი ბეჭედი მტყუარში ჩავაგდე!

კარი გაიღო შევიდა ანა.

— ჩქარა, ჩქარა. ანა, საეჭარელო მეგობარო! მოდი გამიყავი სისარული: ეს ტურთი მეტად მიმივა მარტო ჩემთვის. ყური მომიგდე: მე იმას ყოველი უთხარ, ყოველი... მე მიხდოდა საღამოსედ შეტქო შენთვის ეს საიდუმლო; მაგრამ, მოთმინება გამომეღვივა საღამომდინ; ესლავე შეიტყე.

— არა მიხდარა შეეიტყო.

— არ გადა?

— არა.

— რა დამართვა? ხომ არა მოხდარა? მათა ხარ კერე აღრეული? აღამიანს აღარა ჰგეუხარ?...

— კეკე, უთხარ ყრუის ხმით ანნამ: კეკე, შენ გინდოდა გეტქო ჩემთვის საიდუმლო .. ნება მომეცე ჯერ მე გითხარა ჩემი საიდუმლო.

— შენცა გაქქეს საიდუმლო? შენ რაღათ ინახამდი აქამდინ.

— მაქქეს. ამასედ აღრე არ შეიძლებოდა შეტქო. ასლას შეიტყე: ისი, რომელიც შენ გიყუარს....

— მეც?

— ისი, რომელიც შენ გიყუარს... აღმოფუნა გაყუინდა ყელში ანნასა: აღარა ჰქონდა ძალა განეგრძელებინს სიტყუას....

— ის რა. ხომ ცუდი არა შეგიტყვა რა გიგოზედ? სხუა ცუდი ხომ არა ჰყავს იმას? ჰკითხა კეკემ შიშით

და კანკალით.

—აბა.

—მაშ რაღა? თქვ, ჩქარა გაათავე!

—ვათავებ. ისი, რომელიც შენ გიუჭარს... მეც მიუჭარს გაგიუბით, გონება შეშლით!

—როგორ? მე არასოდეს არ შემომცნევია... არც შენ გითქამს რომდისმე! განა რომდის ჩაგვიარდა სიუჭარულად გიგოსადმი?... მუტე იმასაც უუჭარსარ? რა, ღმერთო! ეს რა ტყცხლია!...

—იყო წამი—ერთი წამი, რომდისაც მე იმედი მქონდა. მე შეგონა, რომ გიგო ირყეოდა ჩემსა და შენს სიუჭარულსა შორის, რომ ის მზათ იყო მე ამოგეჩიიე. ამ იმედმა, დამღუჭა მე, ესლა მივხვდი, მაგრამ რაღა დროს, რომ ჩემის დადეკნებით იგი ჭიარამდა თავის სიუჭარულს შეხდამი... შენ მომტაცე იმისი გული. წარმოიდგინე ჩემი ტანჯუა, რომდისაც შენც მე ამომჩიე შესაიდუმლედ შენის სიუჭარულისა გიგოსადმი.... წელიწადნი ამ ა ტანჯუსანი დღეობით არ ითვლებიან, არამედ საუგუნოებით..

—რა, ანა, საყწალო ანა! შესმის შენი ტანჯუა, მესმის შენი გულის მდგომარეობა!..

—ფოკელო შენგან ნათქუამი სიტყუა გიგოსად ჭიუჯეთლს ხანჯალსავით ჩემს გულს! განაგრძელო ანამ.—

—ანნავ, ანნავ! რატო მაშინ არა მითხარირა?—

—ესლა შენმა ბედნიერებამ უკუჩქ ალაგსო საწყაო: გული განმიგმირა... მელამს სიუჭარული... კელარ დამადაყუფელში მომანწა ..

—საბრალლო ანა! არ ვიცი რა გითხრა, რით მოგოგ

გული.

—ბატუა კიდევაც: შენი ბედნიერება მტანჯავს. ვშუქს, მახორცტებს....

—ღმერთო ჩემო! ამბობდა კაკე: რას სიტყუქებით გაუშრო მე ამას თქალები, რით შეუმსუბუქო მე ამას მწუხარება? რით ვანუგეშო?—

—ნუ გებრალბები... გესმის, კაკე? არ მინდა შენი შებრალბა, მე მინდა რომ შენგან წყენა რამ მომავგონდეს, მეტ მქონდეს მიზეზი შენის შეუბრალბლობისა, შენის შურის ძიებისა.

—ოჰ, ღმერთო, ღმერთო! წუწუნებდა კაკე.

—მეორეთ კიდევ გთხოვ, კაკე ნუ ჰსწუხარ ჩემთვის.

—როგორ არ უნდა შევსწუხდე, რას გბედავ ეგრე უბედურად ჩემსგამო...

—მეწმუნე შეინახე შენთვის ეგ სიბრალული და გამოიშვ წავიდე. მე წავალ, უკუქალად წავალ.

—სად?

—ჯანახას, ჩემს სამშობლოში... საიდგანაც მოვთრეულვარ ჩემს საუბედურად... ამსთანავე, მე ეჭვრძნობ, რომ დიდხანს აღარ გამეუჭბას სიტოცხლე: წელული სასიგუდილოა... ყველას მომიტყაუბე, განა ჩემო კაკე?

—მოგიტყაუბე?... მაშინ, როდესაც მე მოვსწვალ შენი უმანკო გული!... მოდე ერთი მოგეხურო, მოგეკრას მავ გულზედ, ჩემო კეთილო ანავ!

ანა ცდილობდა განთავისუფლებულიყო მონუჭებისგან. იმ დროს შემოვიდა ოთახში უცნობი კაცი, მიაჩთო წიგნი კაკეს და მსწრაფლად გაბრუნდა.

რადღაც მწუხარეს წიგნათ გრძნობით გახსნა საჩქაროთ
გვერდს ეს წიგნი.

ვიდრე გვერდ კითხულობდა წერილსა, ანას სახე იტრეფე-
ბოდა და გამოხატავდა მოუსურსებლობას, შიშსა, დაბალ-
სუფობასა, პირმოთხეობასა, და სირცხულსა.

«მოწყალეო კელმწიფავ! კითხულობდა გვერდ ხმა მადლსა:
უფალი გიგო იმეოფება ამ წამს ჩემთან. ამან მაცნობა
გარემოება ანდერძისაგამო თქუძნის განსურსებულის ბი-
ძისა, იმ უმად გიგოს მამაც აქ დაესწრო, გიგოს იმედი
ჭქონდა, რომ მამა მისი კეთილი გაცია და ჯუძარის წერის
ნებას მიჭსტემდა შენზედ უფულოთაც; მაგრამ ეს იმედი
სრულიად გადუწდა და ჯუძრით აღარ იტის რა ქნას. მა-
მა ემოქრება გიგოს, თუ ჯუძარს დაიწრო, ჩემის მეძ-
კვდრეობიდანაც კელს აგადებინებო; დაგწვეული და ში-
ნიდგან გაგადგებ, როგორც უჩნს შუქსაო. დიდხასს
ებრძოდა გიგო ხან სურსწით ხან ტრემლით ხან გაჯავრე-
ბით, მაგრამ გვერდ ფრით ვერ დაიყოლია ჯიუტი მამა თა-
ვის ნებაზედ. ამისათჳს მე, როგორც გულისთადი და
ყოელის მესაიდუმლე მეგობარი გიგოსი, ვაღად ვრაცხამ
გაცნობო თქუძნ, რომ ქორწინება თქუძნი გიგოსთან შე-
უძლებელი საქმეა, გიგომ თუთონ მომანდო გაცნობო
ეს შესაწუხარი და უსიამოვნო გარემოება. მაქუძს პატივი
დავითე თქუძნს უმორჩილეს მოსამსახურედ.

შ... ს... ვი.

— რა! შეჭყურა ანნამ: ეს რა უდუმერთობაა! გინ იფიქ-
რებდა გიგოსაგან!...

კეკე დაშთა კელში წიგნით გაცეებული, გაყუთლებული, ბოლფს თითქოს მოკეო გონსედ და უთხრა შტკიცის ხმით.

—ანა, მომეტი ჰიხბადე.

—შენი ჰიხბადე?

—ჰო, ხემი საქოწინო ჰიხბადე.

—რა გინდა უეო?

—აქ მომეტი.—

კეკემ გაიმაგრა ჰიხბადე თავსედ.

—ესლან ანა, მომეტი გრკვანი.

—მითხარ მანტ...

—მომეტი გრკვანი, შეუტია კეკემ.

ანამ თრთოლჳით მიწოდან გრკვანი, რომელიც კეკემ თავსე დაიდგა.

—მაჲე თაიგული, რომელიც მომიტანა გიგომ.

ხომ არ გავიყდა? ჰკითხვად თავის თავს ანა, ფეწმი-ნდილი მოწამე ამა სხიდუმლო სხნილკვალისა.

—გეგედრები, კეკეჲან, მითხარ მე...

კეკემ ჰანუხი ანა მიჰსტარა; მან გაიმაგრა გულსედ თაიგული და შემდეგ წარმოსთქო ნარნანის ხმით, რომელიც გულადმდე ჰსწედებოდა:

—ანა, ანა! მოდი გაკოცო.

კეკემ მიიგრა ანა გულსედ გრმნობით და შემდეგ მეწცხლივით გავარდა ბალკონსედ. ანამ ძლივს მოასწრო დამახება: «სად მიხუდა?» და კეკე კიდევ იდგა ბალკონის წვერში და შემოაჰსძახა: «მივდივარ ბეჭდის მოსანახვად შტკეარში.» ამა სიტუჲსებით იგი გადავარდა მდინარეში...

ვრცელს შიშანს მინდობდა ჰსჩანან რა პირად თუ-
ნად გააღესილნი და გრძელად გაწოლილნი შენობები, მა-
ღალის ოთახებითა. ყოველს ოთახსა აქუს რკინის წვრი-
ლი თიანჯრები, ჩამოფარებული ფარდებითა. ეს არის
სახლი ავანტურებისა და გიჟებისა—ნავთლესში. შიშანს
მინდობდა რაინი კაცნი იუწუნენ წამოწოლილნი და ჰქონ-
დათ შემდგომი ღაზანკაი:

—მაშ ეგრე ამბობ, საყუარულო სოსიგო, რამ იმას
ეცო საქარწინო ტანისამოსი, რადესაც ის ამოათრის
წელიდგან ძუჭლს ხიდთანა?

—დაად, საქარწინო ტანისამოსი ეცო; თუთრი ატლას-
სის კაბა, თუთრი ატლასის პირბადე, თუთრი ატლასის
ბაშმაკები, ბრილიანტის ბეჭდები და საყურები; გულზე-
დაც ვარდის თაიგული გამაგრებული...
—და კერა უბოკესრად ქალადი, რამელითაც შესაძლე-
ბელი ყოფილიყო გაეგოთ, ან გისი შჯლია, ან ვინ არიან
იმისი საქრმო და ნათესავნი?

—კერა უბოგნესრად, და კერც გაიგეს მიზეზი ამის-
თანა გაბედულობისა, ამიტომ რამ საწყადი სრულებით
შეშლილ იყო ჭკუასუად.

—იქნება ქმარს უცემია და იმიტომ ქალს გამოუყე-
ტების თავი? სთქუნს მეორე კაცმა თომამ.

—რას ანობ? ქარწინების დღესა ჰსცემდა?—

—მართლა, მართლა თუ ცუმა უნდოდა, მეორეს დღემ-
დის მაინც მოითმენდა.

ჩუჭნმა ექიმებმა ბევრი გამოკვითხეს, მაგრამ კერა გა-
იგესრა. ანობუნ, ძნელია იმ ქალის გამოფხინდება და
მოგონება წარსულს საქმესუად.

გუშინ, ერთი საათი მეტი ვლავარაკობდი იმასთან, აგერ აიქ, იმის სენაკთან, უთხრა თამამ.

— მე რე?

— მე შენგანა, რომ ის სრულ ჭკუასეუდ არის, რომ გეცხე მე და შენა.

— დმერთმა ქნას!

— თუ რომ ის უკათობა არა ქქონდეს, შიშბადის აუხსნელობისა და კიდევ სულ თავის სანუარელს ყვავილებზედ არ ლავარაკობდეს, კაცი სრულებით ვერ იფიქრებს, რომ ის უნდა შეშლილი იყოს... ბოლნიციის სმოტრიტელმა ბძანა, რომ ცაც უნდა დარი იყოს, ნება მიეცით ისეირნოს, ხან ბაღში, ხან მინდორზედა... ამ დროს შემოსავლის კარებიდგან მათ მოკვამათ ზარის რეკა.

— დღეს მიღების დღე არის. სტუმრები მოკვივლენ. მაგრამ შავი ჰაკობა არა ქსნას, ერთობა ახალი შემლილი მდგომარი არ მოკვდის დღეს... მინახვება უნდა იყვნენ ესენი. ხედავ, რა კახტურის ფაიტონით მოსულან?

— ცხენებს შეხედე! ქსწორეთ არაბის ჯინშისანი არიან. —

მნახვით მოკვლათ მოთმინება მათ ლავარაკში და მეორეთ დაქსწივს ზარსა.

— მოკვივართ, მოკვივართ! დაუძახეს ჩუგანმა სტორიუებმა და იმავე დაყოვნებით და გულგრილობით გაუღეს კარები.

ჭაუტონიდან გადმოხდნენ კაცი და ქალი.

— რა ხელა ირჯებით სანუარელნო!

— ცოტა გზაკი ან ანის, დაღოცვილო, იქიდგან აქა...

— გელან მიცანი, სოსიეო!... შენი გიგო დაგაუიწყდა? რამელიც...

— ოჰ, ბატონო გიგო! თქუშნა ბძანდებით!... თომავ, შენ მაინც რეგორ ვერ იტან ბატონი, რამელიც ესრე სშირად მობძანდებოდა ხოლმე გიუების სანახუად... მაგ-რამ ეს ქალი ვინა ბძანდება...

— სოსიეო განკურებოთ უუუტებდა ქალსა, რამელიც დაჭყრდომოდა მკლავსედ გიგოსა.

— რა ნახე, სოსიეო? რას განტყუებულებან? ჭკითხა გიგომ.

— იმასა, ბატონო, რომ ვერა გხედამ იმ ქალსა, რამელიც შენთან მობოდა ხოლმე სანახუებლად ჩუშნის გიუებისა, რამელიც ისეთი ღამაზი იყო, კეთილი, მშუდი...

— ამ სიტუაშნოსედ ქალსაც და გაყსაც აემღვრით გუიი, რამელიც მეტად ეტუობოდათ სახესედ. ქალმა კიდევ შექქმნა მოძრობა წასახუელად უკანგე; მაგრამ გიგომ დაიჭირა.

— ადარ ანის ის ქალი, აღმოხვრით უთხრა გიგომ ჩუმათ სოსიეოსა.

— რეგორ? განა მოკუდა?

— ჰო.

— ოჰ! ღმერთო ჩემო! რას მიბძანებ!

— აგერ ნახეარ წელიწადი მოდის, რაც ადარ ანის.

— რა უბედურებაა! ოჰ, რა უბედურებაა! ნეტავი გიუებუიყო მაინცა: აქ მოიყვანდნენ, კარგათ მაინც მოუვლიდით ჩუშნა.

ლამპაკის გამოსატყუელად გიგომა ჭკითხა:

— გუასთ ვინმე ესლა იმისთანა განსხვავებული ხასიათის გიუები, რომელნიც დიწსნი იუწენ ჩუწნის უუწადლებისა?

— აჩა, სრულებით აჩ აჩიან. მეწმუნეთ, ხაღხი დღითი დღე ჭკვანდებს: ჭსწორეთ საკვრეჭლია! იცით რა მაგასსენათ? მას აქეთ, რაც უშლიან ზოლიტიკასედ ლამაზკას, გიუები დანოტაუნენ. მაინცკი რასაკვრეჭლია, ბეკრი იზოკუბიან კიდევ ზოლიტიკის გიუები; მაგრამ უწინდელივით აღარა... ქალადის. თამაშობისაგანკი ბეკრი, ძალიან ბეკრი...

ამ დროს მოესმათ ოთახებიდან დამძახებული წაწის ხმა.

— ვითხოვთ ბოდიშს! საჩქაროთ წამოსთქექს სტოროკოუმს: კუქძახიან.

— წადით, წადით, მეგობარნო! ჰე გზა ვიცი, უთხრა გიგომ.

როდესაც ჩუწნი ქალი და კაცი მართლ დაჩჩნენ მწანეზედ, ანამ უთხრა გიგოს:

— სტოროკომა აგიშალა წულუდი.

— იმას ახსომს ისევე საცოდავი კიკი!

— გეტყობათ, მაშინ ხშირად გიუღია იმასთან აქა.

— ახლა შენთან მოვალ ხშირად. ესლა უნდა ვიფიქროთ მხოლოდ ჩუწნს ხელაუნებაზედ და შემეცნებაზედ, რომლისათვისაც მოკდივართ ხოლმე აქა ხელად. უნდა წამოვადგინოთ შემლიდი, სადაც კინაზი ვორონტოვიც ინებებს მობძახებს სასახლის ხაღხით და დიდის ამაღით.

— დიად, ხელად ყუჭლიერის ზიწუჭლს დღეს. რა სა-

შინელი გამოცდილება აჩის ჩემთვის.—

—სვალ გამოვა ცისკარი შენის გამოჩენისა, ანა.და ცისკარმა, ახალმა ყურნალმა, იქნება თქუას რამა შენსედ ქება...

—შეშინიან, ავად არ გავხდე. გიყი ტასიგონ თამაშობა მეძნელება... კეკეს შემდეგ კერავინ ვერ თამაშობს ამ რთლსა კარგათ.

—შე გეტყვ საიდუმლოს,სად რთგორ უნდა იქმოქმედო.

—თქუენ ავი კიდეც მახსწავლეთ.

—არა, არა... აი აქ, ამ სახლში, მხოლოდ აქ შეგიძლიან შენ ისწავლო, რთგორ დადის გიყი, რთგორ მოქმედობს, რთგორ ღაზარაკობს და რთდესაც სიტყუა და მოქმედება შემოაკლდება, რთგორ გამოსთქუამს ხოლმე შესედულებით, რთმელშიაც თუთქმის ყოველთვის შეერთდებიან უკანასკნელნი სხივნი დაბნელებულის გონებისა.. შენ უნდა თვალი და ყური ადევნო... ამაში მდგომარეობს სრული კვლავება აკტორისა.—ესენი უცხოდ იცოდა საწყალმა კეკემ.

ამ სახელის მოგონებასედ გიგო ჩათიქრდა და დანადგლიანდა; მივიდა და მიჰდა დაბალს სვამსედ და დაცქერა თუალი დედამიწას. რამდენსამე წამს იყო ამ მდგომარეობაში; მაგრამ, თუთქმის რაღაც მოაგონდაო, მან მსწაფლად შემოიბერტუა ეს მწუნარე ფიქრები და წარმოდგა.

—დრო აჩის შეუდგეთ ჩუენს საქმეს, აი მოდიან ორნი გიყნი.

მართლაც, მათ მიუახლოვდნენ უსწომამსწორის სიარულით კაცი და ქალი, რთმელნიც ღა-

შინაკობდნენ გაჯგულებულის ხმითა:

კაცი. რა მშენიერი დარია დღესა.

ქალი. შენ ამას უწოდებ მშენიერ დარად?

კაცი. ნუ თუ მშენიერი არ არის? ასე თბილას!

ქალი. მეგი ძალიანა შციფა.

კაცი. გარწმუნებ, სიცხისაგან ველარ ამომისუნთქამს.

ქალი. მე გუებნები, რომ სრულებით ვიყინები.

კაცი. სჯობს დარხედ აღარ ვილაშინაკეთ, ჩემო საყურადღო, თუ ეტყე წინააღმდეგათ გებრძნება ჩემო ნათქვამი.

ქალი. რატომ. სჯობს განკავრძელოთ ეს ლაშინაკი; წათა გუყინს წინააღმდეგობა, თუ შართალი ხარ...

კაცი. შენი ნებაა.— თუ რომ ესრეთს სითბობას დაიჭერს, მაისში მოგვესწრობა მწუხანე ღობიო და კიტრები.

ქალი. აი მოიგონა! მწუხანე ღობიო შემოდის მხოლოდ თიბათვეში.

კაცი. მაისში.

ქალი. თიბათვეში.

კაცი. მაისში, მაისში, მაისში!

ქალი. თიბათვეში, თიბათვეში, თიბათვეში!—

გიგომ წაუჩუჩრუღა ანას: შეშენიე ყურადღებით: ამათი სიგიჟე წამომდგარა წინააღმდეგობისაგან, ამ გუარის გიჟების ხასიათი არის: გუხანე სიტყუქები, დარცნვითი შეხედა, ჩქარი სიარული, გაწყურტილი მოძრობა, და დაჟინება რისამე.—

—წაუიღეთ შინ! უთხრა ანამ: მე შეშინიან ამ გიჟებისა.

—რას გვიმენ, უთხრა გიგომ: სჩანს უგნებელი გიჟ-

ნი არიან, რომ გამოუშვით კარზედ... მაგრამ აკერ მოეფარნენ კიდეც—სახლში შევიდნენ.—

ამ დროს მოვიდა მათთან თომა და უთხრა:

—ბატონო გიგო! მე მოვასსენე სმოტრიტელსა თქუჩნი ვინაობა და მიხეზი, რისათვისაც გარჯილხართ. ის შეჭსწუხდა, რომ დღეს ექიმები აქ არიან და გიუების გარსედ გამოეყანა არ შეიძლება.—გთხოვთ იმანაც და იმისმა ცოლმაც. ჰატარახანს ეწვევთ ჩაიხედა.

—მადლობა მოახსენე, უთხრა გიგომ: ჩუჩნი იმათ ვერ ვიცნობთ და არც დრო გვაქვს.

—ეხლახან რომ ჩამოიარეს, ქალმა და კაცმა, ისინი არიან.

—ახ! მე ისინი გიჟად შევრაცხე! ჭსთქვა ნახევარ დიმილით გიგომ.

—ჭო იმანაც ხომ ისე ეგონათ! უთხრა თომამ: მე გამოვიკვრდნენ, რათ გამოგიშვა სახლიდანა.. მეტე მე მოვასსენე ვინცა ბძანდებით... ამისათვის ჩაიხედ გთხოვთ...

—დიდი მადლობა მოახსენე. დროება ნებას არ გვაძლევს, თორემ... მშუდობით, თომავ!

—მშუდობით ბძანდებოდეთ!—

ვიდრე განგრძელებოდა ამათი გამოხალმება, გამოჩნდა შენობათა შორის ქალი ვინმე, შიშვად ჩამოთვარებულის მწუხანის შიშბადით, რომელიც ფარულად კვალ და კვალ მიჭსდევდა გიგოს და ანხას —

მასლობელ ავადყოფების სენაკების და გასავლის კარებისა გიგომ იგრძნო, რომ ვიღამაც დაჭკრა მას მხარზედ. გიგო შემოტრიალდა, ატრუთვე ანხა.

— რა გნებავს? ჭკითხა გიგომ ზიწნამოფარებულს ქალსა.

— ესე ჩქარა რათ მისჯალთ? ჭკითხა ქალმა.

— ამიტომ, რომ აქ საქმე აღარა გვაქვსრა: ჩუწნ მოკუელით ავადმყოფების სანახავად.

— ესე იგი, გიუების სანახავად, უთხრა ქალმა ცივად.

— მართალია, უთხრა გიგომ: ჩუწნ გიუების სანახავად მოკუელით; მაგრამ გვთხრეს, რომ სიცხის გამოცხობით დღეს ოთანითგან არავის გამოუშვებენო. და ამისათვის უკანვე მივდივართ ქალაქში.

— მაშასადამე, მეტად ცნობის მოუჭარება გქონათ ხსნათ უცნობი სახე ადამიანისა, რომელნიც მოკლებულნი არიან ბრწინვალეს ღუთიურს გონების ნაშერწყალსა? ჭსთქუა რაღაც სიმწარით ზიწნადიანმა ქალმა, რა ვიაცნია ფეხნი თხსნი სენაკისაკენ.

განკურჩხბულნი გიგო და ანა უნებურად მიჭსდევდნენ მას.

— ჩუწნ აქ არ მოკვსდევართ უბრალოს ცნობის მოუჭარებობისათვის, რომელიც ღირსია კიცხვსა, უთხრა გიგომ.

— ჭოო! წარმოსთქო განგომელებით ზიწნადიანმა ქალმა, მას სხუა მიზეზი გაქვსთ რამა?

— დიად, უთხრა გიგომ: აი რა მიზეზით მოკუელით აქა, მე და ეს ქალი ორნივე აკტორები ვართ ტეატრისა. ხუად უნდა წარმოვადგინოთ ჩუწნ შეშლილი. — ამ წარმოდგენაში არის ქალი გაგიჟებული სუჭარულისაგან; კვინდოდა, რომ ჩუწნს წარმოდგენას ჭქონდად მგზავსე-

ბა ნამდვილისა, და ამიტომ აქ მოკედით სიგიჟის დასასწავლად, შესამცნებელად... ეს ქალი აზირობს შეშლილის ცოლის თამაშობას.

—ოჰ, რა ბედნიერებაა აკტრისობა! წარმოსთქო საჩქაროდ ჩამოთვარებულმა ქალმა: რა კეთილშობილური დანიშნულება არის! აცინებ, ატირებ, აღძვამ ხალხსა... ტაშის კურთთ აქუხებ, მოიუჟან ვარდის წვემას....

—თუ რომ ეგრეთი სურვილი გაქქესთ, უთხრა გიგომი: რატომ არ შეხუდათ აკტრისად?

—თქმა ადვილია, მაგრამ აღსრულება ძნელია, უთხრა ქალმა.

—სურვილი ყოველს დაბრკოლებას დაამარცხებს; მხოლოდ გაბედულება უნდა იქონიოთ.

—ანა მგონია: აკტრისად შემსუფეული პირუჭლად უნდა იყოს ყმაწვილი ქალი, მეორედ ჭქონდეს კარგი კმა, და იყოს ღამაზი, აგრეთუჭ ჭქონდეს ნიჭი.—

—ვგონებ, თქუჭნ არც ერთში ნაკლებულება არ უნდა გქონდესთ.—

—მე ბევრს ნაკლუფუკანებასთან ამპარტავანიცა ვარ. გამოგონია, რომ ერთი აკტრისა არისო ტფილისში, რომელსაც ანა ჭყავს თანასწორი, და რომელიც დედოფლობსო ყოველზედ..

—აკტრისა? საჩქაროდ ჭკითხა ანამ.

—ჭო, ყმაწვილი ქალიაო...

—სახელი არ გითხრეს?

—მითხრეს; ვგონებ იმას ჭქვან...

—ანნა? ჭკითხა ანამ გახარებულმა.

— არა. მგონია კეკე.

— კეკე! განიმეორა დაღონებით ანამ.

— მართალია? ჭკითხა პირბადიანმა ქალმა: როგორც აქებენ, მართლა ღირსია ქებისა?

— სრულებით მართალია უთხრა გიგომ მწუხარებით, რომელიც სახესედაც გამოაჩნდა. — მაგრამ შენი ცანი ცოტა რამ იმისას ემსგავსება; იქნება, რომ ოდესმე იმისი ალაგი დაიჭირო...

ამ სიტყუასთან გიგომ მიიტანა კელი პირბადესთან და უნდოდა აესადა. — საშინელის წივილით ქალმა შეაყენა კელი მისი.

გიგო უკან შესდგა, თითქოს ამ დაკვილებამ შეარყია მისი ტუნი და გული!

— რა მესმის? შეჭყურა მან. — იმ წამს გიგო ემსგავსებოდა გიუსა. სხვა და სხვა თქმითა განილეგებ იმის თავში, მაგრამ მცირედს ხანსა. ანაც განცუფრებულად დაჩა. — რა ცოტად დამშჯდა, გიგომ სთქვა:

— ჩუწნი კეკესედ ვლამარაკობდით... ჭო დიდი აკტრისა იყო; არა ჭყუნდა იმას თანასწორი.

სატანჯავი იყო ანასათუს ღამარაკი კეკესედ, რომელსედაც მესხიერება ჯერეთ გულიდგან არა ჭქონდა ამოფხენილი გიგოსა; მაგრამ ეს ტანჯუა იყო იმისთვის ჯერ მხოლოდ დასაწყისი.

— ჩუწნი ცრემლი მას კვლარ გააცოცხლებს, სთქვა ანამ.

— თქუწნი ცრემლინი?... ეგ რას ნიშნამს? ჭკითხა ჩამოფარებულმა ქალმა.

— ჰო, ჩუქნი ცრემლი... კკკ დიდი ხანია რაც მოკუნდა.

— საწყალი კკკ! ჰსთქუა გიგომ ღრმის აღმოხუროთ.

მწუხანე პირბადე ძლიერად შეირხა ამის ამოხურასკედ, რომელიც ამტკიცებდა, რომ გიგოს ვერ ისევე უყუარდა კკკ.

— დავანებოთ თავი ამ მწუხარებს მოგონებასა, ჰსთქუა ანამ.

დავანებოთ, ჰსთქუა პირბადიანმა, თუ რომ ეგრე გაშფოთებთ თქვენ იმაზედ მოგონება... ხელს რას თამაშობთ თეატრში?

— შეშლილსა, უზასუხა გიგომ, რომელსაც ფიქრი სხუანა ჰქონდა.

— შეშლილსა? დაფიქრებით განიშეორა პირბადიანმა.

— მე უნდა ვითამაშო ვახტანგის როლი და ამ ქალმა შეშლილი ტასიკოსი.

— ვახტანგი და ტასიკო! სთქუა მწუხიანმა, და გარდიგდო ლეჩქის ბოლო მხრებზედა, რომ საღამოს ნიკოს არ გარდაეშალა უეცრად და არ გამოეჩინა სახე მისი — ვახტანგი და ტასიკო! ორნივე გაგიჟებულნი... მაგრამ არა: ვახტანგი ტყუილად იგიჟიანებს თავსა, მაშინ როდესაც მართლ ტასიკო გაგიჟდა ნამდვლად... ტყუილთაგ არ დაუწერია იმის შემთხვევლსა: კაცები ჭუას არ აკლდებიან სიუჟარულისაგან; მხოლოდ საწყალი ქალები.. გონების დაბნელება შეუძლიან მხოლოდ მწუხარებას, ღრმას მწუხარებას, რომელიც მოუათ მოტყუებულის სიუჟარულისაგან. გონება ხომ საჩვე აჩის.

— ნუ თუ ეს ქალი სიუჟარულისაგან აჩის შემცდარი?

წაჭსწერნულა გიგომ ანას, ამის ლაპარაკი, მაკურნებს მე.

— ჰო, დიად განაგრძელებს მწერს ჩამოფარებულმა ქალმა: გონება არის მშუტსნიერი სარკე. ხოლო ლაღატი არის მირტემული ქუჩა იმ სარკეზე; ყოველი ნამტკრუვი ამ მინისა გარდიტევა სარკედ, რომელშიც ჭსჩანს სახე იმ მოღალატესი, და თუაღნი მისნი ყოველგან გღვენინან შენ! გძინამს თუ გღვამს, ის თუაღები არა გშორდებინან. პირუტყლად ჭგვანან კეთილსა, ნარნარსა; მაგრამ აგერ თან და თან მოახლოვდებიან, მოდიან, მოდიან, თუაღი თუაღთან... მერე შეიქმნებიან საშინელები, შეუბრალებლები, სასარკელი!... შეხედეთ, ესლაც მიუყურებენ მე ისე... შეშინიან, შეშინიან!... რაზედ ვლაპარაკობდით ჩუტნა? ..

კარგა ხანმა განულო, ვიდრე ისინი მოეგნენ გონზედ და უპასუხეს; ესრეთ აღძრა ისინი ამ ქალის უეცრად გამოჩენილმა სიგიჟემს!

— ჩუტნ ვლაპარაკობდით ვახტანგზედა და ტასიგოზედ უთხრა გიგომ.

— დიად, დიად! ვახტანგსა და ტასიგოსედ. საუცხოო რელი არის ტასიგოსი. მგონია აკტრისა გამოვა თმა გაშლილი, რქომკედის გვრგვინით თავზედ, სიმღერის თქმით საუჭარველზედ...

— დიად, დიად უპასუხა ანამ,

— არა გნებავსთ მომიზოვოთ დიდი რამ გამოუფიქრებ... თითქმის მოწყალება?

— რაცღი შეგვძლიან, სინარულით; გვიბრძანე. — უთხრა გიგომ.

—მიიღეთ ჩემგან გზგვანი ხჭაღსაღამოსათვის, რადესაც წარმოადგენთ ტასიკოსს... რას იტყვით? ნებას მომცემთ მოგართოთ?

—სინაჩულით, უზასუხა ანნამ, დიდის სინაჩულით. განა გაქვსთ რქომეკედის გზგვანი?

—არა!... მაგრამ იმას ხომ ბრლიანნიკი არ აკეთებს. ჩქვს თუთონ დავწნათ. გნებავთ?... რა! რა კარგი იქმნება!.. ან რა უნდა იმის გაკეთებასა, განაგრძელა შეშლილმა კმაყოფილებით. ჩქვს გვინდა მხოლოდ რქომეკედი; მაგრამ ყვავილებისაგანაც შეიძლება გაკეთდეს. აქაურ ბალებში ბეკრი არის საუკეთესო ყვავილები. თქვენ არ იცით?—რა გეტყვინებთ, მართლაც; ჰირქვლად მოსულხანთ აქა... მე გაგიყვებელი ვარ ყვავილებისათვის. . იმათთან ალერსი, იმათი მოვლა ჩემი ბედნიერებაა, ჩემი სიტყვებია... თქვენ თითონ ნახამთ... რას კანობდით?... ჰო, ჰო! ტასიკოს გზგვანის დასაწნავად საჭირო არის ან რქომეკედი ან ყვავილები... ჰხედამთ, უთვალა აკტორა, იმ სახლის ბოლოს ჰსდგას ერთი ძირი თივა?

—ვხედამ.

—წაბძანდით იქა და ერთი ბლუჯი თივა გამოგლიჯეთ; მე და ეს ქალივი მანამდისინ წაკალთ ჩემს ორანჟერეიაში (ბაღში) და დავკრეფთ ყვავილებსა. წადით ჩქარა წადით. —

—ესლავ, ესლავ.

—თუ ღმერთი გწამს, ჩქარა დაბრუნდი, წაუხერხულა ანამ. გიგოსა: რადგორღაც გული მიშეოთამს, მარტოცა რამ ვრჩები ამასთან.

— რას უმაწვლობ! ნუ თუ გეშინიან მაგისთანა მშჯდის და სუსტის ქალისა?

როდესაც გიგო მოეფარა შენობებს, მწქანე ჩამოფარებულმა ქალმა დაუჭირა ანას კელები, წაიყვანა თავის სენაკისაკენ და უთხრა ალერსით:

— რა ბედნიერი ვარ მე, რომ თქვენ მომდევოთ სანახავად ჩემის ქმნისიერის სამოთხისა. სამუდამოდ შევიხანამ გულში მოგონებს თქვენის აქ მოსვლისას.

— მე თვითონ მოხარული ვარ...

